თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2623657

ნომერი: AR1406612

თარიღი : 20.05.2016

გაცემის თარიღი : 31.05.2016

გაცნობის თარიღი : 31.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ მღებრიშვილი პ/ნ 01022008803
- თბილისი ჭოპორტის ქ. N 3 ბ. 43

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1406612 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ სარაჯიშვილის ქუჩა N 7ბ–ში (საკ.კოდი 01.10.10.004.055) მდებარე მიწის ნაკვეთზე წარმოების დაწყევი შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 13 მაისის AR1402752 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბადრი სექანიამ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.